ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, არჩილ თაბუკაშვილი

# ისტორია

## ტ ე ს ტ ე ბ ი
### ეროვნული გამოცდისათვის

დიოგენე

**ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, არჩილ თაბუკაშვილი**

ისტორია

ტესტები ეროვნული გამოცდისათვის

რედაქტორი სოლომონ ნოზაძე, ლალი ბაქრაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-865-4
www. diogene. ge

## სარჩევი

**ტესტი №1**
დავალება № 1-35 ..... 7
დავალება № 36 ..... 15
დავალება № 37 ..... 16
დავალება № 38 ..... 16

**ტესტი №2**
დავალება № 1-35 ..... 18
დავალება № 36 ..... 25
დავალება № 37 ..... 27
დავალება № 38 ..... 27

**ტესტი №3**
დავალება № 1-35 ..... 30
დავალება № 36 ..... 37
დავალება № 37 ..... 38
დავალება № 38 ..... 39

**ტესტი №4**
დავალება № 1-35 ..... 42
დავალება № 36 ..... 49
დავალება № 37 ..... 51
დავალება № 38 ..... 51

**ტესტი №5**
დავალება № 1-35 ..... 53
დავალება № 36 ..... 60
დავალება № 37 ..... 62
დავალება № 38 ..... 62

**ტესტი №6**
დავალება № 1-35 ..... 65
დავალება № 36 ..... 72
დავალება № 37 ..... 73
დავალება № 38 ..... 74

**ტესტი №7**
დავალება № 1-35 ..... 76
დავალება № 36 ..... 83
დავალება № 37 ..... 85
დავალება № 38 ..... 85

**ტესტი №8**


დავალება № 1-35 ..... 88
დავალება № 36 ..... 95
დავალება № 37 ..... 97
დავალება № 38 ..... 97


**ტესტი №9**


დავალება № 1-35 ..... 100
დავალება № 36 ..... 107
დავალება № 37 ..... 108
დავალება № 38 ..... 109


**ტესტი №10**


დავალება № 1-35 ..... 112
დავალება № 36 ..... 119
დავალება № 37 ..... 121
დავალება № 38 ..... 121


**პასუხები**


ტესტი №1 ..... 124
ტესტი № 2 ..... 125
ტესტი № 3 ..... 127
ტესტი № 4 ..... 128
ტესტი № 5 ..... 130
ტესტი № 6 ..... 131
ტესტი № 7 ..... 133
ტესტი № 8 ..... 135
ტესტი № 9 ..... 136
ტესტი № 10 ..... 138

# ძვირფასო მეგობრებო!

2013, 2016 და 2023 წლებში გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა ტესტების სამი კრებული ისტორიის ეროვნული გამოცდისთვის, რომელიც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული ისტორიის საგამოცდო პროგრამის მიხედვით იყო შედეგენილი. წინამდებარე ახალი გამოცემა 2023 წლის ისტორიის ეროვნული გამოცდის ფორმატის ანალოგიურია. კრებული შეიცავს ათ ტესტს. თითოეული ტესტი ოთხი სხვადასხვა დავალებისგან შედგება.

დავალების პირველი ტიპი – კითხვები პასუხების მრავლობითი არჩევნით – 35 თითოქულიან კითხვას შეიცავს და, შესაბამისად, 35-ქულიანია. დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი.

მეორე დავალებაა 6-ქულიანია და რუკის ანალიზს წარმოადგენს.

მესამე ტიპის დავალება ახალი ტიპის დავალებაა (5 ქულა). აქ აბიტურიენტმა კონკრეტული მოვლენის მიზეზებსა და შედეგებზე უნდა იმსჯელოს, უნდა გაანალიზოს უშუალო მონაწილეების გარდა, კიდევ ვისთვის იქნებოდა სასარგებლო ანდა პირიქით, საზიანო. ასევე, ისტორიიდან მოიყვანოს ამ მოვლენის მსგავსი მოვლენა.

დავალების მეოთხე ტიპია წერილობითი წყაროს ანალიზი, რომელიც მოითხოვს თანდართულ კითხვებზე პასუხის გაცემას (14 ქულა).

ტესტების მაქსიმალური ქულათა მარაგი, ეროვნული გამოცდის ტესტის მსგავსად, 60 ქულას შეადგენს. კრებულის ბოლოს მოცემულია ზუსტი და სავარაუდო პასუხები. კრებული დაეხმარება XII კლასის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაში.

# ტესტი № 1

## დავალება № 1–35

**თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1, სულ – 35 ქულა.**

**1. რატომ უწოდებდნენ მეცნიერები ეგვიპტეში ძველი სამეფოს პერიოდს „პირამიდების ხანას“?**

ა) რადგან სწორედ ამ ეპოქის ფარაონებმა დაიწყეს პირამიდების მშენებლობა;

ბ) ძველი სამეფოს დროს მოღვაწე ქურუმთა წრეში შემუშავდა სამარხის ახალი ტიპის – პირამიდის მოდელი;

გ) ამ პერიოდში ეგვიპტეში ყორღანული სამარხები პირამიდებით შეიცვალა;

დ) ეგვიპტის ძველი სამეფოს ფარაონები პირამიდას ეგვიპტის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

**2. რამ შეუწყო ხელი ძვ.წ. XVIII საუკუნეში ბაბილონის ეკონომიკურ დაწინაურებას?**

ა) ბაბილონის მიერ დაპყრობილი ურარტუ დიდ გადასახადს იხდიდა;

ბ) ბაბილონისა და ეგვიპტის დამაკავშირებელმა სავაჭრო მაგისტრალმა ორივე სახელმწიფოს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დადებითად იმოქმედა;

გ) ბაბილონზე გადიოდა შუამდინარეთის მთავარი სავაჭრო გზები;

დ) ბაბილონის ხაზინა შუმერული ქალაქებიდან შემოსული გადასახადებით ივსებოდა.

**3. რომელი მსჯელობაა მართებული დარიოს I-ის რეფორმების შესახებ**

ა) სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად – პროვინციებად – დაყო და სათავეში მარზპანები ჩაუყენა;

ბ) მუდმივი ჯარი – სამეფო გვარდია – ჩამოაყალიბა;

გ) ქვეყნის ადგილობრივი მმართველები – სატრაპები – სპასპეტს დაუქვემდებარა;

დ) ყველა პროვინციაში ახალი ტიპის სამხედრო ნაწილი – „ათი ათასი უკვდავი“ – ჩააყენა.

**4. რომელი მსჯელობა არ არის მართებული დიდ ბერძნულ კოლონიზაციასთან დაკავშირებით?**

ა) ძველბერძნული ტექსტები დიდი კოლონიზაციის დაწყების მიზეზად მიწის სიმცირეს ასახელებს;

ბ) კოლონიზაციის მიზეზი ხშირად იყო ქალაქებში არსებული უთანხმოებები და სამოქალაქო ომები, რის შემდეგაც ქალაქის მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებლად კოლონიაში გადადიოდა;

გ) გაღარიბებული და ვალებში ჩავარდნილი ბერძნები იძულებული ხდებოდნენ, პოლისები დაეტოვებინათ და ახალი დასახლებები დაეარსებინათ;

დ) განვითარებული გემთმშენებლობის პირობებში პოლისი ყველა ხომალდს ვეღარ იტევდა, ახალი პორტებისთვის კოლონიების დაარსება გახდა საჭირო.

**5. რატომ ითვლება, რომ სპარტაში ოლიგარქიული მმართველობა იყო?**

ა) რადგან სპარტას მხოლოდ მდიდრები მართავდნენ;

ბ) ადგილობრივი მოსახლეობა თავისუფალ სპარტელებთან შედარებით მრავალრიცხოვანი იყო;

გ) ქალაქს სათავეში სპარტელებისა და მესენიელების სამხედრო ელიტა ედგა;

დ) სპარტას მდიდარი სპარტელებისგან გამოყოფილი უმცირესობა მართავდა.

**6. რომელ ისტორიულ პროცესს უკავშირდება ელინისტური კულტურის ჩამოყალიბება და გავრცელება?**

ა) დიდ ბერძნულ კოლონიზაციას, რომლის დროსაც ფართოდ გავრცელდა ბერძნული კულტურა ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში;

ბ) ბერძენ-სპარსელთა ომს, რომლის დროსაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მეომარი სპარსელები ბერძნულ კულტურას ეზიარნენ და შემდეგ აღმოსავლეთში გაავრცელეს;

გ) პელოპონესის ომს, რადგან სპარტის მიერ ათენის დამორჩილებასა და პელოპონესის კავშირში შეყვანას ერთიანი ბერძნული კულტურის ჩამოყალიბება მოჰყვა;

დ) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს, რომლის დროსაც ბერძნული კულტურა აღმოსავლეთში გავრცელდა და ადგილობრივ კულტურებს შეერწყა.

**7. რომელ ისტორულ პროცესს უკავშირდება ქართლის სამეფოს წარმოქმნა?**

ა) აქემენიანთა იმპერიის შექმნას;

ბ) ჩრდილო კავკასიიდან სკვითებისა და კიმირიელების ლაშქრობას;

გ) ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლასა და დიადოქოსების დაპირისპირებას;

დ) მცირე აზიაში მაკედონელთა ლაშქრობასა და პონტოს სამეფოს ჩამოყალიბებას.

**8. რომელი მსჯელობაა მართებული პუნიკური ომების შედეგების შესახებ?**

ა) კართაგენი რომზე დამოკიდებული ქალაქი გახდა, აეკრძალა სამხედრო ფლოტისა და საბრძოლო სპილოების ყოლა;

ბ) რომაელებმა კართაგენი გაანადგურეს და მისი ტერიტორია რომის იმპერიის შემადგენ-ლობაში შევიდა;

გ) კართაგენმა კუნძული სიცილია დაკარგა და ფულადი კომპენსაციის გადახდა დაეკისრა;

დ) კართაგენი და რომი ხმელთაშუა ზღვის გავლენის სფეროებად განაწილების შესახებ შეთანხმდნენ.

**9. რას არ გულისხმობდა დიოკლეტიანეს რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული „დომინატის“ პოლიტიკური სისტემა?**

ა) გაიზარდა იმპერატორის ძალაუფლება;

ბ) დიოკლეტიანემ თანამმართველები დანიშნა;

გ) დაწესდა საიმპერატორო ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემის სისტემა;

დ) შენარჩუნდა რესპუბლიკური მმართველობისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტები.

**10. რომელი მსჯელობა არ არის მართებული სასანური ირანის რელიგიური პოლიტიკის შესახებ?**

ა) ირანელები დაპყრობილ ხალხებში მაზდეანობას ავრცელებდნენ და ამ გზით მათ კულტურულ დაახლოებას ცდილობდნენ;

ბ) სასანიანები ბიზანტიიდან დევნილ მონოფიზიტებს მფარველობდნენ;

გ) ირანელებმა დააწესეს სულადობრივი გადასახადი – ჯიზია, რომელსაც არამაზდეანები იხდიდნენ;

დ) დაპყრობილ ქვეყნებში ირანელებმა ცეცხლთაყვანისმცემლებისთვის ტაძრების აგება დაიწყეს.

**11. რა გახდა არაბების მიერ მეზობელი სახელმწიფოების: ბიზანტიის ნაწილისა და სასანიანთა ირანის იოლად დაპყრობის ერთ-ერთი მიზეზი?**

ა) არაბებს იმ დროისთვის გამორჩეული შეიარაღება და საალყო მანქანები ჰქონდათ;

ბ) არაბებმა ბიზანტიელებთან და ირანელებთან მოლაპარაკება ცალ-ცალკე გამართეს და დაარწმუნეს, რომ მათ უბრძოლველად დანებებოდნენ;

გ) ბიზანტია და სასანური ირანი ერთმანეთთან ხანგრძლივი ომებით იყვნენ დასუსტებული;

დ) ბიზანტიელებმა და ირანელებმა არაბების წინააღმდეგ გაერთიანება ვერ მოასწრეს.

**12. რომელი სახელმწიფოს დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა საღვთო რომის იმპერია?**

ა) რომის იმპერიის;

ბ) დასავლეთ რომის იმპერიის;

გ) ბიზანტიის;

დ) ფრანკთა იმპერიის.

**13. რატომ გადაწყვიტა გიორგი II-მ, თავად ხლებოდა მალიქ-შაჰს და ხარკის გადახდას დათანხმებოდა?**

ა) გიორგი II-ს ტახტის შესანარჩუნებლად მხარდამჭერი სჭირდებოდა, რადგან მის ძმას ბიზანტიიდან ჩამოსული ჯარი უმაგრებდა ზურგს;

ბ) 1080 წლიდან საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო, ამის აღსაკვეთად გიორგიმ მალიქ-შაჰთან გამოცხადება გადაწყვიტა;

გ) გიორგი II მალიქ-შაჰისგან მორჩილების სანაცვლოდ დასაჩუქრებას მოელოდა და იმედოვნებდა, რომ სულთანი კახეთ-ჰერეთს დაუთმობდა;

დ) გიორგი II მალიქ-შაჰის კეთილგანწყობის მოპოვებასა და თავისი მემკვიდრისთვის სულთნის ასულის ხელის თხოვნას ცდილობდა.

**14. რომელი პოლიტიკური ერთეული არ ჩამოყალიბებულა I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ?**

ა) იერუსალიმის სამეფო;

ბ) ანტიოქიის საგრაფო;

გ) ტრიპოლის საგრაფო;

დ) კილიკიის სამეფო.

**15. რატომ დააკმაყოფილა თავდაპირველად თამარ მეფემ დიდებულთა მოთხოვნები?**

ა) სამეფო კარზე არსებული წინააღმდეგობების მოსაგვარებლად;

ბ) მეფემ დიდებულთა მოთხოვნები ლეგიტიმურად ჩათვალა;

გ) მოთხოვნების დაკმაყოფილების სანაცვლოდ დიდებულებმა მეფის წამოწყებულ რეფორმებს მხარი დაუჭირეს;

დ) თამარ მეფე დიდებულთა მოთხოვნებს იზიარებდა და დარბაზიდან არადიდგვაროვანი მოხელეების გათავისუფლება სურდა.

**16. რა შედეგი მოჰყვა 1225 წელს გარნისის ბრძოლას?**

ა) ქართველთა ლაშქარი მონღოლთა მარბიელთა რაზმთან დამარცხდა, თუმცა ისინი საქართველოში არ დარჩენილან და უკან მონღოლეთში გაბრუნდნენ;

ბ) ქართველებმა აღიარეს მონღოლებთან დამარცხება და ვასალობასა და ხარკის გადახდას დათანხმდნენ;

გ) ქართველთა ჯარი ხორეზმშაჰთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა, რის შემდეგაც ჯალალედინმა მომდევნო წლებშიც გააგრძელა საქართველოში ლაშქრობები;

დ) საქართველოს მეფემ მოახერხა რუმის სასულთნოდან შემოჭრილი თურქების უკუგდება და საზღვრების დაცვა.

**17. რა იყო XIV საუკუნის ბოლოს ევროპული სახელმწიფოების ოსმალეთის სულთანთან, ბაიაზეთ I-თან, დაპირისპირების მიზეზი?**

ა) ბაიაზეთ I-ის მიერ წმინდა მიწის დაპყრობა და ქრისტიანი პილიგრიმებისთვის იერუსალიმში შესვლის აკრძალვა;

ბ) კოსოვოს ბრძოლის შემდეგ ოსმალებს გზა გაეხსნათ ევროპისკენ შემდგომი ექსპანსიისთვის. ევროპელებმა მათი შეჩერება გადაწყვიტეს;

გ) ევროპელი რაინდები კონსტანტინოპოლის ასაღებად ემზადებოდნენ, როცა ბაიაზეთ I-მა დაასწრო და ბიზანტიის დედაქალაქი თავად აიღო;

დ) ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაკავების შემდეგ ევროპელები მის გათავისუფლებას ცდილობდნენ.

**18. ვის უწოდებდნენ კონკისტადორებს?**

ა) ესპანელ და პორტუგალიელ დამპყრობლებს, რომლებმაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ამერიკის კონტინენტის ათვისება დაიწყეს;

ბ) არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ესპანელებს;

გ) ესპანელ და პორტუგალიელ რაინდებს, რომლებიც მუსლიმების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობდნენ;

დ) ფრანგ კოლონიზატორებს, რომლებმაც აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილი დაიკავეს.

**19. რა გახდა პროტესტანტული მოძრაობის დაწყების საბაბი?**

ა) საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის არსებული დაპირისპირება ინვესტიტურისთვის;

ბ) კათოლიკური ეკლესიის მიერ ინდულგენციებით ვაჭრობა;

გ) რომის პაპის მიერ გამოცემული ბულა პაპის ძალაუფლების შესახებ;

დ) პაპის მიერ დაწესებული ახალი გადასახადი.

**20. რა სახელით იყვნენ ცნობილი ინგლისში კალვინის მიმდევრები?**

ა) პურიტანების;

ბ) ჰუგენოტების;

გ) ლუთერანების;

დ) მართლმადიდებლების.

**21. რატომ უწევდა აჯანყებულ ნიდერლანდებს დახმარებას ინგლისი?**

ა) ინგლისს თავად სურდა ნიდერლანდების დაპყრობა და შეერთება;

ბ) ინგლისს საზღვაო გზებზე გაბატონება სურდა, ამისთვის კი კონკურენტი ესპანეთი უნდა ჩამოეცილებინა;

გ) ორივე ქვეყანა პროტესტანტული იყო და ევროპაში მათი პოზიციების გასაძლიერებლად;

დ) დახმარების შემთხვევაში ნიდერლანდები ინგლისს საკუთარი კოლონიების დათმობას შეპირდა.

**22. რომელი მსჯელობა არ არის მართებული კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესახებ?**

ა) რიშელიემ მიაღწია, რომ გენერალურმა შტატებმა თვითდათხოვნა გამოაცხადა;

ბ) დიდებულებთან დასაპირისპირებლად რიშელიემ ჰუგენოტები გამოიყენა და თანადგომისთვის მათ პრივილეგიები მიანიჭა;

გ) რიშელიეს მოღვაწეობის მიზანი ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება იყო;

დ) მისი პირველი მინისტრობის დროს შეიზღუდა პროვინციებში დიდებულთა უფლებები.

**23. რომელი სახელმწიფოების დაპირისპირების ასპარეზს წარმოადგენდა საქართველო XVI-XVII საუკუნეებში?**

ა) სეფიანთა ირანისა და თურქ-სელჩუკების;

ბ) ოსმალეთისა და შავბატკნიანთა სახელმწიფოს;

გ) სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის;

დ) ოსმალეთისა და თემურიდების სახელმწიფოს.

**24. რა არ შეიძლება ჩაითვალოს პეტრე I-ის რეფორმების დადებით შედეგად?**

ა) პეტრე I-ის რეფორმებმა ხელი შეუწყო რუსეთის ევროპეიზაციას;

ბ) ჩამოაყალიბა „ოპრიჩნინა“ და სახელმწიფოს მიწების დიდი ნაწილი სამეფო მფლობელობაში გადავიდა;

გ) ჩაატარა ადმინისტრაციული რეფორმა და რუსეთი დაყო გუბერნიებად, რომელთა სათავეშიც გუბერნატორები იდგნენ;

დ) დააარსა მეფის უმაღლესი ორგანო – სენატი და კოლეგიები, რომლებსაც სამინისტროების ფუნქციები დააკისრა.

**25. რომელია მართებული მსჯელობა ხრესილის ბრძოლის შედეგებთან დაკავშირებით?**

ა) ხრესილის ბრძოლაში სოლომონ I-ის გამარჯვებით ცხადი გახდა, რომ ქართველებს ოსმალების დამარცხება და ქვეყნის გასათავისუფლებლად ბრძოლა შეეძლოთ;

ბ) ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებით იმერეთის მეფემ ოსმალეთის დამოკიდებულებისგან გათავისუფლება შეძლო;

გ) ოსმალებმა უარი თქვეს იმერეთიდან გადასახადის სახით ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნაზე;

დ) ოსმალეთმა დამარცხება აღიარა და იმერეთის მეფის სუვერენიტეტი და მისი გავლენა ცნო გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებზე.

**26. რომელი მსჯელობაა მართებული განმანათლებლობასთან დაკავშირებით?**

ა) განმანათლებლობამ მსოფლიოში პირველად მთავარ ღირებულებად ადამიანი და ადამიანური ფასეულობები დააყენა;

ბ) განმანათლებლობა ხელს უწყობდა ჭეშმარიტი რწმენისა და ეკლესიის აღორძინებას;

გ) ახალ დროში ჩამოყალიბებული ეს ინტელექტუალური მოძრაობა მიმართული იყო საეკლესიო დოგმატიკისა და სახელმწიფოს წნეხის წინააღმდეგ;

დ) განმანათლებლობის მთავარი იდეა კერძო საკუთრების გაუქმება და სოციალურად თანასწორი საზოგადოების შექმნა იყო.

**27. რომელი ისტორიული ფაქტია ილუსტრაციაზე ასახული?**

ა) ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის შეხვედრა კონკისტადორებთან;

ბ) „ბოსტონური ჩაის სმა“;

გ) რეკონკისტას დასასრული;

დ) კოლუმბის გაცილება ესპანეთიდან.



**28. რა არ შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად?**

ა) ქართული ენის განდევნა საჯარო ადმინისტრაციიდან;

ბ) რუსული მმართველობის დამყარება;

გ) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება;

დ) ქართულ ენაზე რუსული იმპერიული კანონების თარგმნა.

**29. რა შედეგით დასრულდა XIX საუკუნის 30-იან წლებში რევოლუცია საფრანგეთში?**

ა) სახელმწიფო მმართველობის ფორმა კვლავ კონსტიტუციური მონარქია იყო. გაქცეული შარლ X ლუი ფილიპე ორლეანელმა შეცვალა, მეფის ტიტულატურაში კი ჩაემატა სიტყვები „ხალხის ნებით“;

ბ) სამეფო ტახტზე ლუი XVIII ავიდა, რაც საფრანგეთში ბურბონთა რესტავრაციას ნიშნავდა;

გ) საფრანგეთში მონარქია დაემხო და მეორე რესპუბლიკა დამყარდა;

დ) რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პირველი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა.

**30. რომელი მსჯელობაა მართებული XIX საუკუნის 70-იან წლების შედგომ ოტო ფონ ბისმარკის საგარეო პოლიტიკის შესახებ?**

ა) ბისმარკის მიზანი სამხედრო ძალის გამოყენებით პრუსიის ირგვლიც გერმანული მიწების გაერთიანება იყო;

ბ) ბისმარკის მიზანი გერმანიის კოლონიური სამფლობელოების სწრაფად გაზრდა იყო;

გ) ბისმარკი ყველა მეზობელთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა და არც კოლონიური პოლიტიკის გაფართოების მომხრე იყო;

დ) ბისმარკი კოლონიების გადანაწილების თაობაზე დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკებას ცდილობდა, შესაბამისად მასთან და მის მოკავშირეებთანაც კონფლიქტს ერიდებოდა.

**31. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა არ შეიძლება ჩაითვალოს პირველი მსოფლიო ომის მიზეზად?**

ა) საფრანგეთს დაკარგული ელზასისა და ლოთარინგიის დაბრუნება სურდა;

ბ) რუსეთისთვის მნიშვნელოვანი იყო ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის მოპოვება, რაც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას გულისხმობდა;

გ) გერმანიას, სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, აფრიკასა და აზიაში კოლონიების მოპოვება სურდა;

დ) დიდი ბრიტანეთი აზიაში კოლონიების თავის სასარგებლოდ გადანაწილებას ესწრაფოდა.

**32. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის სანაცვლოდ რა პირობის შესრულებას მოითხოვდა რუსეთი?**

ა) რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში დახმარება გაეწია წითელი არმიისთვის;

ბ) მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრების დადგენის საკითხი თავდაპირველად საბჭოთა რუსეთთან შეეთანხმებინა;

გ) აეკრძალა საქართველოში მონარქისტული და ბურჟუაზიული პარტიები;

დ) საქართველოს თავის ტერიტორიაზე კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია მოეხდინა.

**33. ვის მიმართა დასახმარებლად ფრანკომ ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს?**

ა) საბჭოთა კავშირს;

ბ) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს;

გ) გერმანიასა და იტალიას;

დ) პორტუგალიას.

**34. როგორ დასრულდა კორეის ომი?**

ა) ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა;

ბ) სამხრეთ კორეა სოციალისტურ ბანაკს შეუერთდა, ჩრდილოეთ კორეა კი აშშ-ს მოკავშირე გახდა;

გ) ჩრდილოეთ კორეამ „ცივ ომში“ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა;

დ) ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი აღდგა.

**35. რას მოჰყვა 1978 წლის 14 აპრილს საქართველოში ახალგაზრდების გამოსვლები?**

ა) სტალინის დაგმობას;

ბ) დისიდენტური მოძრაობის წარმომადგენლების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას – დაპატიმრებას;

გ) სახელმწიფო ენის სტატუსთან დაკავშირებით კონსტიტუციაში მოსალოდნელ ცვლილებებს;

დ) ჰელსინკის შეთანხმებას, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ვითარება და საზღვრები აღიარა.

# დავალება № 36

**ისტორიული რუკის ანალიზი – თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1, სულ – 6 ქულა.**

საღვთო რომის იმპერია
უნგრეთი
ვლახეთი
ბულგარეთი
სერბეთი
ბიზანტიის იმპერია
ოსმალეთი
ყირიმი
ყაზახეთი
ნოღაელთა ურდო
ყუბანი
ზაბელა
ზენგიდეები
ბოსფორი
ბალკანეთი
ბალეარეთ-დი-კალაბრია
ბალეარმეფ
ბალეარ
ბალეარ
ბალეარ

**36.1. რომელ ისტორიულ მოვლენას ასახავს რუკა?**

ა) XIII საუკუნის გლეხთა ჯვაროსნულ ლაშქრობას;

ბ) I და II ჯვაროსნულ ლაშქრობებს;

გ) III ჯვაროსნულ ლაშქრობას;

დ) IV ჯვაროსნულ ლაშქრობას.

**36.2. რუკის მიხედვით, საიდან დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა და საბოლოოდ რომელი ქალაქის აღებით დასრულდა ის?**

ა) დაიწყო ვენეციიდან და დასრულდა ზადარის აღებით;

ბ) დაიწყო ზადარიდან და დასრულდა კონსტანტინოპოლის აღებით;

გ) დაიწყო ვენეციიდან და დასრულდა კონსტანტინოპოლის აღებით;

დ) დაიწყო ზადარიდან და დასრულდა დურესის აღებით.

**36.3. რუკის მიხედვით, რატომ გაიყო ორად ქალაქ ზადარის აღების შემდეგ ჯვაროსანთა ლაშქარი?**

ა) ნაწილმა უარი თქვა კონსტანტინოპოლის აღებაზე;

ბ) ჩათვალეს, რომ ასე გადაადგილება ბევრად უსაფრთხო იქნებოდა;

გ) მეორე ნაწილი შავი ზღვიდან აპირებდა კონსტანტინოპოლზე თავდასხმას;

დ) ნაწილმა გზა სახმელეთო გზით განაგრძო.

**36.4. რუკის მიხედვით, დაასახელეთ ქალაქი, რომელიც ჯვაროსნებმა გზად გაიარეს, მაგრამ არ აუღიათ.**

ა) ზადარი;

ბ) დურესი;

გ) კონსტანტინოპოლი;

დ) პულა.

**36.5. რუკის მიხედვით, ჩამოთვალეთ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებული პოლიტიკური ერთეულები.**

ა) სერბეთი, ბულგარეთი, ბიზანტია;

ბ) ბულგარეთი და ვლახეთი;

გ) მხოლოდ ბიზანტია;

დ) რუმი და კილიკია

**36.6. რუკის მიხედვით, რომელი არ არის მართებული მსჯელობა?**

ა) ბიზანტიის იმპერია ჯერ კიდევ აკონტროლებდა ტერიტორიას ყირიმის ნახევარკუნ-ძულზე;

ბ) ქალაქი ზადარი, რომელიც მოლაშქრეებმა აიღეს, უნგრეთის ტერიტორიაზე მდებარეობ-და;

გ) ქალაქები ნიკომედია და ნიკეა მუსლიმთა ხელში იყო გადასული;

დ) ბიზანტიის იმპერიას საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარი ჰქონდა.

# დავალება № 37

**ისტორიული მოვლენის (ან პიროვნების/ისტორიული დოკუმენ-ტის და სხვ.) ანალიზი და შეფასება – მაქსიმალური ქულაა 5.**

**XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ კავშირი გააბა რუსეთის იმპერატორთან პეტრე I-თან.**

37.1. დაასახელეთ ამ მოვლენის ერთი კონკრეტული პოლიტიკური მიზეზი.
37.2. დაასახელეთ ერთი შედეგი, რომელიც ამ მოვლენას მოჰყვა.
37.3. დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ზემოთ ნახსენები ისტორიული პროცესი, გარდა უშუალოდ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებისა და რატომ? მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.
37.4. დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო უარყოფითი შედეგის მომტანი ზემოთ ნახსენები ისტორიული პროცესი, გარდა უშუალოდ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებისა და რატომ? მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.
37. 5. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენეთ მსგავსი ისტორიული მოვლენა და მოიტანეთ არგუმენტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

# დავალება № 38

**ისტორიული წყაროს ანალიზი – მაქსიმალური ქულაა 14.**
**დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, 27 ოქტომბერი, 1917 წ.**

ამ რთულ და გადამწყვეტ მომენტში დროებითი რევოლუციური კომიტეტი იძულებული გახდა, მთელი რიგი ღონისძიებები ჩაეტარებინა სხვადასხვა ელფერის კონტრრევოლუციური პრესის წინააღმდეგ. მყისიერად ყოველი მხრიდან შეძახილები გაისმა, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარი პროგრამის ძირითადი პრინციპები დაარღვია, როცა ხელი აღმართა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე.

მუშათა და გლეხთა მთავრობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამ ლიბერალური ფარდის უკან ფაქტობრივად შეძლებული კლასის თავისუფლება იმალება. ხალხის გონების მოსაწამლად მათ მთელი პრესის უდიდესი ნაწილი ხელში ჩაიგდეს და მასების თვითშეგნებაში არეულობის შეტანას ლამობენ. ყველამ იცის, რომ ბურჟუაზიული პრესა ბურჟუაზიის უძლიერესი იარაღია. განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტში, როდესაც ახალი, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება მტკიცდება, შეუძლებელი იყო ამ იარაღის

მთლიანად მტრის ხელში დატოვება. ამ დროს პრესა არანაკლებ საშიშია, ვიდრე ბომბები და ტყვიამფრქვევები. სწორედ ამიტომ, სიბინძურისა და ცილისწამების თავიდან ასაცილებლად მიღებული იქნა დროებითი და ექსტრემალური ზომები, რათა ყვითელი პრესის ნიაღვარს ხალხის გამარჯვება არ დაეხრჩო.

როგორც კი ახალი წესრიგი გამყარდება, ბეჭდვით სიტყვაზე ყოველგვარი ადმინისტრაციული ზემოქმედება მოიხსნება, პრესისთვის სრული თავისუფლება დადგინდება. ყველაზე პროგრესული კანონის თანახმად ბეჭდვითი სიტყვა მხოლოდ სასამართლოს წინაშე იქნება პასუხისმგებელი.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ბეჭდვითი სიტყვის შევიწროება კრიტიკულ მომენტშიც კი დასაშვებია მხოლოდ აბსოლუტურად უკიდურეს ფარგლებში, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დახურვას ექვემდებარება ბეჭდვითი სიტყვის მხოლოდ ის ორგანოები, რომლებიც
   ა) მოუწოდებდნენ ღია წინააღმდეგობის ან მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაუმორჩილებლობისაკენ;
   ბ) თესავდნენ არეულობას ფაქტების აშკარა ცილისმწამებლური დამახინჯებით;
   გ) მოუწოდებდნენ აშკარად დანაშაულებრივი ე.ი. სისხლის სამართლით დასჯადი ქმედებისაკენ.
2. მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით ხორციელდება ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების დროებითი ან სამუდამო დახურვა.
3. ახლანდელ მდგომარეობას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს და შეიცვლება სპეციალური ბრძანებულებით, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური პირობები შეიქმნება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი)

(1) 38.1. დოკუმენტის მიხედვით, რა დაბრალდა დროებით რევოლუციურ კომიტეტს კონტრევოლუციური პრესის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების გამო?
(1) 38.2. დოკუმენტის მიხედვით, ვინ დგას ლიბერალური პრესის თავისუფლების უკან?
(1) 38.3. დოკუმენტის მიხედვით, რატომ არის შეუძლებელი პრესის მათ ხელში დატოვება?
(2) 38.4. ვინ იგულისხმება მუშათა და გლეხთა მთავრობაში და ვინ იყო მათი ხელმძღვანელი?
(1) 38.5. დოკუმენტის მიხედვით, რატომ იქნა მიღებული დროებითი და ექსტრემალური ზომები?
(2) 38.6. დოკუმენტის მიხედვით, ახალი წესრიგის დამყარების შემდეგ რა გახდება შესაძლებელი?
(1) 38.7. დოკუმენტის მიხედვით, ახალი წესრიგის დამყარების შემდეგ ვის წინაშე იქნება პასუხისმგებელი ბეჭდვითი სიტყვა?
(3) 38.8. დოკუმენტის მიხედვით, რა შემთხვევაში დაისჯება პრესის კონკრეტული წარმომადგენელი?
(1) 38.9. დოკუმენტის მიხედვით, ვის კომპეტენციაში შედის ბეჭდვითი სიტყვის ორგანოს დახურვა?
(1) 38.10. დოკუმენტის მიხედვით, რატომ აქვს ამ დეკრეტს დროებითი ხასიათი?

# ტესტი № 2

## დავალება № 1–35

**თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1, სულ – 35 ქულა.**

**1. რატომ აღმოჩნდა ქურუმებისთვის მიუღებელი ეხნატონის რელიგიური რეფორმა?**

ა) აიკრძალა ეგვიპტეში ყველაზე პოპულარული ღვთაების – ოსირისის კულტი;
ბ) ეხნატონის რელიგიურმა რეფორმამ შეზღუდა ქურუმების ძალაუფლება;
გ) ქურუმებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მონოთეიზმის პოლითეიზმით შეცვლა;
დ) ეხნატონმა ღმერთი ამონი უპირატესად გამოაცხადა და სხვა ღმერთები მას დაუქვემდებარა, რასაც შესაბამისად მათი ტაძრების ქურუმების განაწყენება მოჰყვა.

**2. როგორ განადგურდა ხეთების სახელმწიფო?**

ა) ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი სკვითებისა და კიმირიელების ლაშქრობის შედეგად;
ბ) დასუსტდა მეზობელ სახელმწიფოებთან ბრძოლებში და საბოლოოდ ასურეთმა და ეგვიპტემ გადაინაწილეს;
გ) დასავლეთიდან შემოჭრილი „ზღვის ხალხების“ შემოსევების შედეგად;
დ) დაიპყრო მიდიის სახელმწიფომ.

**3. რატომ აღარ იხსენიება დიაოხი ისტორიულ წყაროებში ძვ.წ. VIII-ის შემდეგ?**

ა) მეზობელი სახელმწიფო – ურარტუ, რომლის მეფეთა წარწერებშიც მოიხსენიებოდა დიაოხი, წყვეტს მისი მიმართულებით ლაშქრობებს;
ბ) ასურელთა ხანგრძლივი ლაშქრობების შემდეგ დიაოხმა არსებობა შეწყვიტა, მისი ტერიტორია კი ასურეთის შემადგენლობაში მოექცა;
გ) მეზობლებთნ ბრძოლაში დასუსტებული დიაოხი განადგურდა, მისი ტერიტორია კი ურარტუსა და კოლხას შორის აღმოჩნდა გადანაწილებული;
დ) სკვითებისა და კიმირიელების დამანგრეველი შემოსევების შემდეგ სამხრეთ კავკასიისა და მცირე აზიაში კლდეზე გამოკვეთილი ყველა წარწერა განადგურდა.

**4. რამ განაპირობა ბერძნულ სამყაროში მაკედონიის დაწინაურება?**

ა) ბერძენ-სპარსელთა ომის შედეგად ბერძნული ქალაქების დასუსტებამ;
ბ) მაკედონიასა და სპარსეთს შორის დაწყებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა;
გ) დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ;
დ) პელოპონესის ომის შემდეგ დაწყებულმა პოლისური საზოგადოების კრიზისმა.

**5. რა ფუნქცია ჰქონდა ქართლის სამეფოში სპასპეტს?**

ა) ქართლის სამეფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის უფროსის;

ბ) გადასახადების ამკრეფის;

გ) ჯარების სარდლისა და ოლქების მმართველების უფროსის;

დ) სამეფო გვარდიის „ათი ათასი უკვდავის“ სარდლის.

**6. რომელი მსჯელობაა მართებული რომში რესპუბლიკის დასრულებისა და იმპერიის დამყარების შესახებ?**

ა) ბოლო მეფის ტარკვინიუს ამაყის რომიდან გაქცევის შემდეგ რომაელებმა ახალი მმართველი იმპერატორის ტიტულით აირჩიეს;

ბ) პომპეუსსა და იულიუს კეისარს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომში კეისარმა გაიმარჯვა და ის რომის პირველი იმპერატორი გახდა;

გ) ანტონიუსისა და ოქტავიანეს შორის დაპირისპირება ანტონიუსის დამარცხებით დასრულდა და ოქტავიანეს ერთპიროვნული მმართველობა დამყარდა;

დ) იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ სენატმა პომპეუსი იმპერატორად აირჩია.

**7. რომელი მსჯელობა არ არის მართებული II საუკუნის 30-50-იან წლებში რომისა და ქართლის ურთიერთობის შესახებ?**

ა) ფარსმან II-მ ისარგებლა რომისა და პართიის დაპირისპირებით და სომხეთი ქართლის სამეფოს შეუერთა;

ბ) იმ პერიოდში რომის იმპერია საკუთარი საზღვრების დაცვაზე ზრუნავდა და მოკავშირე ქვეყნებთან ურთიერთობას უფრთხილდებოდა;

გ) რომის იმპერატორს ერჩივნა, ფარსმან II რეალურ მოკავშირედ დარჩენილიყო და ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელები გაეკონტროლებინა;

დ) ფარსმან II-მ რომის იმპერატორთან შეთანხმების გარეშე ქართლის სამეფოს საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით შავ ზღვამდე გაზარდა, რამაც მათ შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია;

**8. ჩამოთვლილთაგან რა არ უკავშირდება ვახტან გორგასლის სახელს?**

ა) ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში და გაამაგრა დარიალის კარი;

ბ) გაატარა რელიგიური რეფორმა და დააწესა არქიეპისკოპოსობა;

გ) მოაკვლევინა ვარსქენ პიტიახში და დაიწყო ანტიირანული აჯანყება;

დ) ისარგებლა ბიზანტიის მოუცლელობით და ილაშქრა ეგრისში.

**9. როგორ ჩაეყარა საფუძველი პაპების საერო ხელისუფლებას იტალიაში?**

ა) ფრანკების მეფემ პიპინ მოკლემ მეფედ კურთხევის სანაცვლოდ რომის პაპს აპენინის ნახევარკუნძულზე რომის ოლქი უბოძა;

ბ) რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა რომის პაპს მიწები სპეციალური სიგელით – „კონსტანტინეს ნაბოძვარით“ – დაუმტკიცა;

გ) ფრანკების იმპერატორმა კარლოს დიდმა ლანგობარდების გერმანული ტომი იტალიიდან განდევნა და მათი მიწები რომის პაპს გადასცა;

დ) დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ რომის პაპმა შეინარჩუნა ეკლესიის მიწები, რომელზეც პაპების „საეკლესიო სამეფო“ ჩამოყალიბდა.

**10. რომელი მოვლენა იქცა მუსლიმური წელთაღრიცხვის დაწყების თარიღად?**

ა) მუსლიმების მიერ დაპყრობითი ომების დაწყება და ისლამის გავრცელება;

ბ) მუჰამედის მიერ ახალი მოძღვრების ქადაგება;

გ) მუჰამედის მომხრეებთან ერთად მექადან იასრიბში გადასვლა;

დ) არაბთა სახალიფოში პირველი ხალიფას დანიშვნა

**11. რატომ ატარებდა ბაგრატ III „ქართველთა მეფის“ ტიტულს?**

ა) ბაგრატი „ქართველთა მეფის“ ტიტულის მქონე გურგენის მემკვიდრე იყო;

ბ) დავით III-მ ბაგრატს „ქართველთა მეფის“ ტიტული ქართლში მისი გამეფების შემდეგ გადასცა;

გ) ბაგრატი ქართლის ერისმთავრის აშოტ „ქართველთა მეფის“ შთამომავალი იყო;

დ) აფხაზეთში გამეფების შემდეგ ბაგრატი „აფხაზთა და ქართველთა“ მეფედ აკურთხეს, რადგან იმ დროს შიდა ქართლი აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა.

**12. რა შედეგით დასრულდა IV ჯვაროსნული ლაშქრობა?**

ა) ჯვაროსნებმა დაიბრუნეს იერუსალიმი და სამეფო აღადგინეს;

ბ) ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და იქ ლათინთა იმპერია შექმნეს;

გ) ევროპელებმა დაკარგეს ანტიოქია – აღმოსავლეთში ჯვაროსნების უკანასკნელი დასაყრდენი;

დ) ჯვაროსნებმა აიღეს სავაჭრო ქალაქები: ვენეცია, ზადარი და კონსტანტინოპოლი.

**13. საქართველოში მონღოლების მმართველობის პერიოდში სიბაზე დგომა აღნიშნავდა სამხედრო ბეგარას, რომლის მიზანიც იყო:**

ა) დაეცვა სამხრეთ კავკასია მომთაბარეების თავდასხმებისგან;

ბ) გაემაგრებინა ოქროს ურდოს სამხრეთი საზღვარი;

გ) ოქროს ურდოს შემოსევებისგან დაეცვა ილხანთა ულუსის ჩრდილოეთი საზღვარი;

დ) დაეცვა ილხანთა სახელმწიფოს სამხრეთი საზღვარი მომთაბარეთა შემოსევებისგან.

**14. რატომ ვერ აიღო ოსმალეთის სულთანმა ბაიაზეთ I-მა კონსტანტინოპოლი?**

ა) ბიზანტიამ ახალი ტექნოლოგიების – ცეცხლსასროლი იარაღისა და ზარბაზნების – გამოყენებით ოსმალების მოგერიება მოახერხა;

ბ) ბიზანტიას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები დაეხმარნენ და გაერთიანებულმა ლაშქარმა ოსმალების დამარცხება შეძლო;

გ) იმ დროს, როცა ბაიაზეთ I კონსტანტინოპოლს უტევდა, მცირე აზიაში თემურ-ლენგი გამოჩნდა და ოსმალები სასტიკად დაამარცხა, ბაიაზეთ I კი ტყვედ ჩაიგდო;

დ) კონსტანტინოპოლის ალყის დროს ბაიაზეთ I-ს შვილები აუჯანყდნენ და ოსმალეთი შინააშლილობამ მოიცვა.

**15. რომელი მსჯელობა არ არის მართებული ერნან კორტესის მიერ აცტეკების სახელმწიფოს განადგურების შესახებ?**

ა) აცტეკებს კორტესი ღმერთი ეგონათ და ესპანელები კეთილგანწყობით მიიღეს;

ბ) შუბებით შეიარაღებულმა აცტეკებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ ევროპელებს;